საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

GIP პოლიტიკის ნარკვევი მაისი 2018 / გამოცემა #26

საქართველოს ევროპული პერსპექტივა ევროკავშირის მომავალის შესახებ მიმდინარე დებატების კონტექსტში: ფრანკო-გერმანული ხედვა

ბარბარა კუნცი[1]

2018 წლისთვის ევროკავშირში მიმდინარე დებატები მეტწილად მძიმე მდგომარეობის შედეგად აღმოცენდა. დღეს ბრიუსელი უფრო მეტად ისევ მოლოდინის რეჟიმში იმყოფება და იმედს გამოთქვამს, ვიდრე კრიზისის მოგვარებაზეა ორიენტირებული. ევროზონის კრიზისით, ბრექსითის რეფერენდუმითა და დონალდ ტრანმპის აშშ-ს პრეზიდენტად არჩევით გამოწვეული უიმედობის შემდეგ, ევროკავშირში მიმდინარე დებატების უმეტესობა კონცენტრირებულია ევროპული ინტეგრაციის გაღრმავებაზე ისეთ სფეროებში, როგორიცაა: მიგრაცია და საზღვრების დაცვა, ევროზონის რეფორმა და თავდაცვა. იგივე ეხება ფრანკო-გერმანულ ურთიერთობებსაც. პარიზმა და ბერლინმა, ევროპული ინტეგრაციის ტრადიციულმა (თუმცა, არა ყოველთვის ფუნქციონალურმა) "მოტორმა", როგორც ორმხრივი ურთიერთობების ასევე, ფართო ევროპულ კონტექსტში თანამშრომლობის ამბიციური მიზნების ფორმულირება მოახდინა. წლების განმავლობაში, ამ ორ ქვეყანას შორის არცთუ ისე ძლიერი თანამშრომლობის შემდეგ, პროევროპული დღის წესრიგის მქონე ემანუელ მაკრონის საფრანგეთის პრეზიდენტად არჩევამ, არა მხოლოდ ევროპის შესახებ დებატების გამოცოცხლებას, არამედ ფრანკო-გერმანული ურთიერთობების დალაგებასაც შეუწყო ხელი. ის, თუ როგორ გაართმევენ თავს ამ ყოველივეს პარიზი და ბერლინი, გაზრდილ თანამშრომლობაზე, გაღრმავებულ ინტეგრაციასა და რეფორმებზე ევროკავშირში მიმდინარე დებატების საბოლოო რეზულტატისთვის გადამწყვეტი იქნება. სწორედ ამიტომ, ფრანკო-გერმანული დუეტი საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანია. თბილისის ევროპული ამბიციების რეალიზება დიდწილად იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ მიიღებენ ამ ამბიციების პარიზსა და ბერლინში.

[1] მკვლევარი, საერთაშორისო ურთიერთობების ფრანგული ინსტიტუტი (IFRI), პარიზი.

“ევროპის ხელახლა დაფუძნება” და “ახალი დასაწყისი ევროპისთვის”

2017 წლის არჩევნებმა ჩაიარა და ახლა საფრანგეთს და გერმანიას შესაძლებლობების ფანჯარა ეძლევათ, 2021 წლამდე საერთო ევროპული დღის წესრიგის შემუშავებაზე იზრუნონ. პარიზმაც და ბერლინმაც გაბედული, პროევროპული განცხადებები გააკეთეს: წინასაარჩევნო კამპანიის დროს მაკრონის დაპირება “ევროპის ხელახლა დაფუძნება” (“refonder l’Europe”) იყო, ხოლო გერმანიის ახალმა სამთავრობო კოალიციამ, კოალიციის შეთანხმებაში ევროპა ნომერ პირველ საკითხად დაასახელა და მას “ახალი დასაწყისი ევროპისთვის” (“ein neuer Aufbruch für Europa”) უწოდა. თუმცა, მნიშვნელოვანია ისიც თუ რა დგას ამ რიტორიკის მიღმა. მზარდი პოპულიზმის, ანტი-ევროპეანიზმისა და იზოლაციონისტური ტენდენციების ფონზე, რამდენადაც მისასალმებელი არ უნდა იყოს მტკიცედ პროევროპული მთავრობების ყოლა ევროკავშირის ორ წამყვან ქვეყანაში, სიტუაცია მხოლოდ გარეგნულად არ უნდა შეფასდეს. განსაკუთრებით ეს გერმანიას ეხება. მიუხედავად იმისა, რომ ჭეშმარიტად პროევროპულია, ბერლინი ევროკავშირის კონტექსტში შესაძლოა სტატუს ქვო ძალად კვალიფიცირდეს. მაშინ, როცა მაკრონი ევროკავშირის რეფორმირების წინადადებებით გამოდის, ანეგლა მერკელის გერმანია, საერთო ჯამში, არსებული მდგომარეობით კმაყოფილია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიმდინარე დებატები არა იმდენად ორ — ფრანგულ და გერმანულ — ხედვას შეეხება, თუ საით უნდა მიემართებოდეს ევროკავშირი, არამედ, უფრო ზუსტი იქნება გვეთქვა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი საკუთარი დღის წესრიგის განსახორციელებლად გერმანელი კოლეგის დარწმუნებას ცდილობს, მაშინ როცა ბერლინს ასეთი დღის წესრიგი არ გააჩნია (ამ დროისთვის მაინც). ასევე, ჯერ კიდევ არ არის ცნობილი თუ რა გავლენას იქონიებს მაკრონის მიერ გაჟღერებული წინადადებები საერთო ევროპულ ხედვაზე და რა შედეგებს მოიტანს ის. შესაბამისად, არსებობს კონფლიქტის წარმოშობის (ან სულ მცირე, ინერტულობის, როგორც ღია კონფლიქტის შემცვლელის განგრძობითობის) დიდი შანსი, იმის გათვალისწინებით, რომ მნიშვნელოვანი საკითხებიდან ორში — ევროზონა და თავდაცვა — საფრანგეთის და გერმანიის პოზიციები თანხვედრაში არ არის. ამ ორ საკითხზე პოზიციებს უფრო ღრმა საფუძველი აქვს, ვიდრე ეს მხოლოდ ლიდერების — მაკრონი და მერკელის პირადი შეხედულებებია. მონეტარულ პოლიტიკაზე საფრანგეთის და გერმანიის პოზიციები ყოველთვის განსხვავებული იყო. მსგავსად ამისა, საფრანგეთის სტრატეგიული კულტურა და თავდაცვის პოლიტიკის მიმართ ქვეყნის მიდგომა ტრადიციულად რთულად თანხვდებოდა გერმანიისას. შესაბამისად, ბერლინის და პარიზის ყურადღება ორიენტირებული იქნება ისეთ საკითხებზე, რომლებიც მათი ორმხრივი ურთიერთობების დღის წესრიგშია და ევროკავშირში მიმდინარე დებატებიც მეტწილად შიდა პოლიტიკაზე იქნება მიმართული. მსოფლიოს სხვა რეგიონებში, მაგალითად: ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ კორეასა თუ ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებში განვითარებული მოვლენები, ბუნებრივია, ასევე მოითხოვს ყურადღებას, თუმცა, მოსალოდნელია, რომ ძირითადი აქცენტი უფრო მეტად ევროკავშირის შიგნით მიმდინარე საკითხებზე გაკეთდება.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ადგილი მიმდინარე დებატებში: დაფასდება დემოკრატიზაცია და ევროპეიზაცია?

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ევროკავშირის მომავალის შესახებ მიმდინარე დებატებში დიდწილად არ გვხვდება აღმოსავლეთ პარტნიორობაა. ეროვნულ დონეზე, ევროპაზე სიტყვით გამოსვლისას ორ მნიშვნელოვან შემთხვევაში — 2017 წლის 7 სექტემბერს ათენში და 2017 წლის 26 სექტემბერს პარიზის სორბონის უნივერსიტეტში — მაკრონმა არც აღმოსავლეთ პარტნიორობა და არც ევროკავშირის გაფართოება ახსენა. რაც შეეხება გერმანიას, 2018 წლის თებერვალში CDU, CSU და SPD-ს შორის მიღწეულ კოალიციის შეთანხმებაში აღმოსავლეთ პარტნიორობა მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები. შეთანხმებაში ნათქვამია, რომ ახალ ფედერალურ მთავრობას აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანასა და რუსეთში სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ინტენსიფიკაცია აქვს განზრახული.[2] ხოლო ბილატერალური ურთიერთობების დონეზე, აღმოსავლეთ პარტნიორობა მხოლოდ ერთხელ — 2017 წლის 13 ივლისს, ფრანკო-გერმანული მინისტრთა საბჭოს დეკლარაციაში იქნა მოხსენიებული, სადაც პარიზმა და ბერლინმა სურვილი გამოთქვეს საფრანგეთის არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის (NGO) სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის არსებული გერმანული ფორმატები გაეხსნათ.[3] მიუხედავად იმისა, რომ მისასალმებელი ნაბიჯია (განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ გერმანიის არასამთავრობო ორგანიზაციები სამოქალაქო საზოგადოების ბევრ ფორმატს აწარმოებს, ფრანგული მხარის შემთხვევაში კი ამის სიმცირე შეინიშნება), აღმოსავლეთ პარტნიორობისთვის თამამ განცხადებად ნაკლებად შეიძლება შეფასდეს.

ევროკავშირის გაფართოება კვლავ სენსიტიურ თემად რჩება, რასაც დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების გაწევრიანების საკითხიც აჩვენებს. მაგალითად, 2019 წლის წინასაპარლამენტო არჩევნების პერიოდში, კონსერვატორმა ოპოზიციამ მაკრონი ამ ქვეყნებისთვის ევროკავშირის წევრობის მინიჭების მხარდაჭერაში უკვე "დაადანაშაულა". პარტია "*Les Républicains*"-ის ლიდერმა კი, როგორც ჩანს, კამპანიის "არა გაფართოებას" წარმოება გადაწყვიტა.[4] დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი დავის საგანს ნაკლებად წარმოადგენს გერმანიაში, თუმცა, მათ წევრობას ერთხმად არც აქ მიესალმებიან. სამართლიანი იქნება ვიფიქროთ, რომ დასავლეთ ბალკანეთით გაფართოება ორივე ქვეყნის საფრანგეთის და გერმანიის ლიდერებისგან დიდი პოლიტიკური კაპიტალის ჩადებას მოითხოვს — კაპიტალისა, რომელიც გაფართოების შემდგომ რაუნდებზე აღარ

---

[2] იხ. "Ein neuer Aufbruch für Europa. Eine neue Dynamik für Deutschland. Ein neuer Zusammenhalt für unser Land," Coalition agreement between CDU, CSU and SPD, Berlin, 7 February 2018, ნანახია აპრილი 5, 2018, https://www.bundesregierung.de/Content/DE/_Anlagen/2018/03/2018-03-14-koalitionsvertrag.pdf;jsessionid=4B9A10CD345EE1B98033DE5D5F1B71A1.s3t1?__blob=publicationFile&v=2, p. 150.

[3] იხ. Deutsch-Französischer Ministerrat, Abschlusserklärung, Paris, 13 July 2017, ხელმისაწვდომია https://www.bundesregierung.de/Content/DE/_Anlagen/2017/07/2017-07-13-abschlusserklaerung-d-f-ministerrat.pdf;jsessionid=64783A0328E2B3DE8C233810A7940684.s1t1?__blob=publicationFile&v=4

[4] Arnaud de La Grange, Marion Mourgue, « Wauquiez : On ne construit pas l'Europe contre les avis des peuples », *Le Figaro*, 15 November 2017, http://www.lefigaro.fr/politique/2017/11/15/01002-20171115ARTFIG00316-laurent-wauquiez-je-suis-un-europeen-convaincu.php

იქნება წარმოდგენილი. "გაფართოებით გადაღლის" ზოგადი ფონის გარდა, საქართველოს შემთხვევაში კიდევ ერთ, უფრო კონკრეტულ პრობლემას აქვს ადგილი — გეოპოლიტიკური რისკის ევროკავშირში იმპორტის შესაძლებლობა, ცხადია, თბილისისთვის წევრობის პერსპექტივის მინიჭების სურვილს ამცირებს.

ფართომასშტაბიანი საჯარო დებატების არარსებობა, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის აუცილებლად არახელსაყრელ მდგომარეობას არ წარმოადგენს. რადგან აღმოსავლეთ პარტნიორობის მიმართ არსებული მიდგომები პრობლემურია, ურთიერთობების და ჩართულობის მნიშვნელოვანი ხარისხი საჯარო დებატების რადარქვეშ და უფრო მეტად, ტექნიკურ დონეზე მიმდინარეობს. "ასოცირების შესახებ შეთანხმებები", მათ შორის საქართველოსთან, დადებითად ფასდება.[5] ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, გაფართოების საკითხი დღის წესრიგში არ იდგეს, აღმოსავლეთ პარტნიორობის, და კონკრეტულად საქართველოს მიმართ ინტერესი ნამდვილად არსებობს. ინტერესის საგანს წარმოადგენს ისეთი სფეროები, როგორიცაა: უსაფრთხოება, მიგრაცია და ვაჭრობა. არსებულ კონტექსტში, ევროკავშირში მიმდინარე დებატებში ერთ-ერთ ძირითად ტენდენციას დიფერენცირებული ინტეგრაცია და "მრავალსიჩქარიანი ევროპა" წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი საკმაოდ საკამათოა, ეს მიდგომები უპირველეს ყოვლისა ევროკავშირის 28 (მალე უკვე 27) ქვეყანას შორის ურთიერთობებს უკავშირდება.[6] ტრადიციულად, პარიზი უფრო პოზიტიურად, ბერლინი კი უფრო სკეპტიკურად არის განწყობილი. თუმცა, ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, მრავალსიჩქარიანი ევროპის საკითხზე გაჟღერებულ მოწოდებებს (მათ შორის, ვერსალის 2017 წლის სამიტზე) და აგრეთვე, მაკრონის რამდენიმე განცხადებას მერკელმა მხარი დაუჭირა. რასაკვირველია, დიფერენცირებულ ინტეგრაციას საგარეო განზომილებაც გააჩნია, თუმცაღა ის ამჟამად მიმდინარე დებატების არსებით ნაწილს არ წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დიფერენცირებული ინტეგრაციის იდეა ახალი არ არის, [7] მაგალითისთვის "ასოცირების შესახებ შეთანხმება" შესაძლოა დიფერენცირებული მიდგომის ერთ-ერთ ფორმად მივიჩნიოთ. აღნიშნული ცნება დროულია და ეს ასეა არამხოლოდ ბრექსითის შედეგების გამო. ასეთი მიდგომა შესაძლებლობებს მისცემს პარტნიორ ქვეყნებს, რომელთაც ბრიუსელთან უფრო ახლო თანამშრომლობა სურთ, მაშინ როცა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მთავრობებისთვის პოლიტიკური ფასი უფრო დაბალი იქნება, ვიდრე იმ შემთხვევაში თუკი მათ მოქალაქეების კიდევ ერთ გაფართოებაზე დარწმუნება მოუწევდათ. [8] შესაბამისად, ამ მიდგომის გაყოლა ყველა

[5] იხ. მაგ: მის რატიფიკაციაზე საფრანგეთის სენატის 2015 წლის ანგარიში: French Senate, « Rapport n° 56 (2015-2016) de M. Alain GOURNAC, fait au nom de la commission des affaires étrangères, de la défense et des forces armées, déposé le 14 octobre 2015 », Paris, October 2015, http://www.senat.fr/rap/l15-056/l15-056.html.

[6] იხ. მაგ: Eszter Zalan, „EU struggles with multi-speed idea," EUobserver, 10 March 2017, https://euobserver.com/institutional/137202.

[7] იხ. მაგ: Kristi Raik, Tanja Tamminen, „ Inclusive and exclusive differentiated integration: Enlargement and the European Neighbourhood Policy," in: J. Jokela (ed.) Multi-speed Europe? Differentiated integration in the external relationsof the European Union, FIIA Report 38 (2014), Helsinki: Finnish Institute of International Affairs, pp. 45-62.

[8] იხ. აგრეთვე, Bidzina Lebanidze, "Life without EU membership: The Case for a Multi-Speed EaP," GIP Commentary #24, December 2017, http://gip.ge/life-without-eu-membership-case-multi-speed-eap/.

მონაწილე მხარისთვის უფრო რეალისტური ვარიანტი ჩანს. დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციისთვის საჭირო მოთხოვნებთან ერთად, იგი ასევე საერთო ინტერესებზე მტკიცედ დაფუძნებული ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას მისცემდა მათ, რაც თავის მხრივ, ასიმეტრიებს შეამცირებდა.

რეკომენდაციები ფრანკო-გერმანული დღის წესრიგში საქართველოს მოსახვედრად

ზოგადად, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ —ფრანკო-გერმანული "მოტორისა" და მსგავს საკითხებზე რიტორიკის მიუხედავად — საფრანგეთსა და გერმანიაში (პოლიტიკური) შეშფოთების ძირითადი საგანი აუცილებლობით იდენტური არ არის. ამ ორ ქვეყანაში ეროვნულ დონეზე მიმდინარე დებატები და ევროკავშირის მიმართ მათი ამბიციები დროდადრო შესაძლოა განსხვავდებოდეს. აღმოსავლეთ პარტნიორობის მიმართ მათი განსხვავებული მიდგომებიც გათვალისწინებულ უნდა იქნას. [9] ორივე ქვეყანა მნიშვნელოვანია, თუმცა ორივე მათგანს სხვადასხვა პრიორიტეტები აქვს.

პირველი, რაც არ უნდა ცინიკურად ჟღერდეს, როდესაც ყურადღების მოპოვებას ცდილობ, პრობლემად არყოფნა შესაძლოა, თავად წარმოადგენდეს პრობლემას. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველო პარიზისა და ბერლინისთვის საგარეო პოლიტიკურ "პრობლემად" უნდა გადაიქცეს. იმისათვის, რომ მათი მხრიდან ინტერესი მოიზიდოს, არსებული პრობლემების გადაჭრაში საქართველომ მის მნიშვნელობას უნდა გაუსვას ხაზი. ევროკავშირში მიმდინარე დებატების უმეტესობა ისეთი პრობლემების ირგვლივ ტრიალებს, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია. განსაკუთრებით, ეს უსაფრთხოების საკითხებს ეხება, სამხრეთ კავკასიაში ან სხვა რეგიონებში — მაგალითად, არ უნდა იქნას დავიწყებული საქართველოს კონტრიბუცია ევროკავშირის სამხედრო ოპერაციაში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ან თუნდაც NATO-ს ოპერაციაში ავღანეთში. ამგვარად, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ რისი შეთავაზება შეუძლია საქართველოს.

მეორე, აღმოსავლეთ პარტნიორობა საფრანგეთის და გერმანიის სამოქალაქო საზოგადოებისა და კვლევითი ცენტრების საქმიანობისთვის აქტუალურ საკითხს არ წარმოადგენს. სამოქალაქო საზოგადოების დაახლოების თვალსაზრისით, ქართველი აქტორებისთვის პარტნიორების მოძიება გერმანიაში უფრო მარტივი იქნება, ვიდრე საფრანგეთში. ფონდების თვალსაზრისით, გერმანიას მდიდარი ლანდშაფტი აქვს (იქნება ეს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული "პოლიტიკური" ფონდები, მაგალითად ბუნდესტაგში წარმოდგენილ ერთ-

[9] იხ. David Cadier, „France's policies toward the Eastern Partnership countries in context," GIP Commentary, Issue #13, April 2017, http://gip.ge/frances-policies-toward-the-eastern-partnership-countries-in-context/, და Kornely Kakachia, "A Reluctant Partner: Georgian-German relations revisited," PONARS Eurasia Policy Memo No. 463, March 2017, http://gip.ge/a-reluctant-partner-georgian-german-relations-revisited/. უფრო ფართო კონტექსტისთვის, როგორიცაა (მათ შორის) რუსეთისადმი მიდგომები, იხ. Laure Delcour and Stefan Meister, "Russia and the Ukraine conflict: toward a long-term strategy," in: Claire Demesmay (ed.) "Mind the Gap: ow France and Germany Can Spearhead Joint Foreign Policy Initiatives Now," DGAP kompakt 4, February 2018, https://dgap.org/en/article/getFullPDF/30467

ერთ პარტიასთან ახლო კავშირებით თუ დამოუკიდებელი ფონდები), რომელთაგან რამოდენიმე საქართველოშიც არის წარმოდგენილი. მსგავსი ტიპის ინსტიტუტები თითქმის არ არის საფრანგეთში. ასევე, ამ გერმანული აქტორების ფინანსური სიტუაციაც, როგორც ჩანს, ფრანგ კოლეგებთან შედარებით უკეთესია. შესაბამისად, გერმანიისა და მესამე ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებებს შორის კავშირები ზოგადად უფრო ძლიერი და ინსტიტუციონალურად უფრო სტაბილურია, ვიდრე საფრანგეთისა და მესამე ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებებს შორის ურთიერთობები. ბილატერალური პარტნიორობის დამყარების ნაცვლად, ქართული ინსტიტუტების ინტერესი უნდა იყოს საწყის ეტაპზევე მოახდინოს ნებისმიერი დიალოგის "ტრილატერალიზაცია" და გერმანიასთან და საფრანგეთთან უკვე არსებული ახლო კავშირები გამოიყენოს. ეს საშუალებას მისცემს ქართველ აქტორებს კავშირები დაამყარონ იმ ქსელებთან, რომელიც გერმანელებს უკვე გააჩნიათ საფრანგეთში, ნაცვლად იმისა, რომ ორმხრივი ქართულ-ფრანგული კავშირების ნულიდან დაწყებას შეეცადონ.

დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთსა და გერმანიას ევროკავშირის დღის წესრიგის განსაზღვრის ძალა გააჩნიათ, ფრანკო-გერმანული ბილატერალიზმის გარდა საქართველოსთვის, ადვოკატირების თვალსაზრისით, სხვა გაერთიანებებიც შეიძლება წარმოადგენდნენ ინტერესის საგანს. ეს განსაკუთრებით ვეიმარის სამკუთხედს ეხება, რომელიც საფრანგეთის, გერმანიისა და პოლონეთისგან შედგება. ვარშავაში ხელისუფლების სათავეში მყოფი ძალების გათვალისწინებით, ვეიმარის ფორმატი იმის ნაცვლად, რომ იდეების გენერირების მამოძრავებელი ძალა იყოს, უფრო მეტად ცარიელ ნიჟარას ჰგავს. განსაკუთრებით ეს ასეა, როცა საქმე ევროკავშირის დებატებში პროგრესს ეხება. თუმცა, პოლიტიკური მიზეზების გამო, ვეიმარის სამკუთხედი ჯერ დასრულებულად ვერ გამოცხადდება. საჭიროა განხორციელდეს მრავალმნიშვნელოვანი პროექტი, რომლის დღის წესრიგშიც პოტენციურ თემებს შორის აღმოსავლეთ პარტნიორობა ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზეა.[10] პარიზი და ბერლინი რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს, საქართველომ ვარშავის შესახებაც არ უნდა დაივიწყოს.

[10] იხ. აგრეთვე Stiftung Genshagen, "(Re-)Engaging our Partners to the East. What the Weimar Triangle should do for the Eastern Partnership," Genshagener Papiere 19, November 2017, http://www.stiftung-genshagen.de/publikationen/publikation-detailansicht/d35b8b3c414508bf81c900f5c791fa9e.html?tx_ttnews%5Btt_news%5D=1212.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

დოკუმენტის ციტირების წესი:
ბარბარა კუნცი. „საქართველოს ევროპული პერსპექტივა ევროკავშირის მომავალის შესახებ მიმდინარე დებატების კონტექსტში: ფრანკო-გერმანული ხედვა“, პოლიტიკის ნარკვევი #26, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, მაისი 2018.

© Georgian Institute of Politics, 2018
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge
www.gip.ge